

კომენტარები

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ

საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე

15 ივლისი, 2013

I. პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული კომენტარები

1. გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, „საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელით“. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებით „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ განისაზღვრა სატყეო სააგენტოს მიზნები და ამოცანები, ასევე უფლებები და მოვალეობები. მათგან გამომდინარე, ნათელია, რომ სსიპ „სატყეო სააგენტო“ არის ტყის ფონდის მართვის ორგანო და მის კომპეტენციას არ წარმოადგენს სატყეო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავება. ამავდროულად, თუ იგულისხმება, რომ სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი უნდა მუშავდებოდა და ვრცელდებოდა ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოების სახელითაც, მაშინ სსიპ „სატყეო სააგენტოსთან“ ერთად, ასეთები უნდა იყვნენ: სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის (ასეთების არსებობის შემთხვევაში), მაგალითად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიების ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოები¹; მითუმეტეს, განსახილველი დოკუმენტის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ: „სატყეო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ყველა ტყისათვის, მიუხედავად მათი საკუთრებისა და მართვის ფორმისა“.

2. საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება ძალზე საჭირო და საშური საქმეა. აუცილებელია, რომ ის დამტკიცდეს საყოველთაო საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე. ამდენად, ძალზე მისასალმებელია, რომ სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ

¹ საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ“ თანახმად, (მუხლი 3.) ტყის ფონდს, რომლის მართვაზეც პასუხისმგებელია სსიპ სატყეო სააგენტო, სახელმწიფო „ტყის ფონდი“ არის – სახელმწიფო ტყის ფონდი, გარდა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიებისა, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებული ტყის ფონდებისა.

განცხადებაში აღნიშნულია შემდეგი: „*დოკუმენტის საჯარო განხილვისა და სამომავლო ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება კომენტარების მიღების დასრულების შემდგომ*“. სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის სრულფასოვანი განხილვისა და მის მიღებაზე საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად, მიგვაჩნია რომ ამ ეტაპზე, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სულ მცირე:

- დოკუმენტის სამართლებრივი სტატუსი (ეს შეიძლება იყოს პარლამენტის დადგენილება, პრეზიდენტის ბრძანებულება, მთავრობის დადგენილება. ჩვენის აზრით, ყველაზე უპრიანია საქართველოს სატყეო პოლიტიკის დამტკიცება პარლამენტის დადგენილებით);
- დოკუმენტის დამტკიცების საფეხურები და პროცედურები;
- საჯარო განხილვის ჩატარების წესი და პროცედურები.

3. მწვანე ალტერნატივას მიეცა შესაძლებლობა, გაეკეთებინა კომენტარები ამ დოკუმენტის პროექტზე. ჩვენი შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა და ნაწილი - არა. ამასთანავე, არ მიგვიღია განმარტება, თუ რა მიზეზით არ იქნა გათვალისწინებული შენიშვნების ნაწილი. ამდენად, სხვა კომენტარებთან ერთად, ჩვენ კიდევ ერთხელ, ამჯერად, უკვე სამინისტროს მივმართავთ იმ შენიშვნებით, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული. იმედს გამოვთქვამთ, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის განხილვას წარმართავს დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის უფრო მაღალი სტანდარტებით. ამასი, ვგულისხმობთ, დოკუმენტის განხილვის საჯაროობას და დაინტერესებული საზოგადოების ფართო ჩართვას; სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი, ისევე როგორც ტყის ახალი კანონმდებლობა, ტყის საკუთრებისა და მართვის ყოველი კონკრეტული მექანიზმი, უნდა იყოს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი მათ მიღებამდე/დამტკიცებამდე. ამასთან, საზოგადოების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა თუ მოსაზრებების გაუზიარებლობის შემთხვევაში, ორპუსის კონვენციის მოთხოვნების თანახმად, ხელისუფლებამ საჯაროდ უნდა დაასაბუთოს თითოეულის გაუთვალისწინებლობის მიზეზი.

4. 1999 წლიდან დღემდე საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის არაერთი მცდელობა იყო. ამ პერიოდში, სხვადასხვა დასახელებით, გამოქვეყნდა საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტების რამოდენიმე პროექტი. აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან დღემდე შეიცვალა სატყეო სექტორის მართვაზე პასუხისმგებელი ცხრა მინისტრი. ყველა მათგანი მოღვაწეობას იწყებდა „სატყეო რეფორმით“. ამ ე.წ. „რეფორმებისთვის“ დამახასიათებელი იყო ის, რომ თითოეული მათგანი რადიკალურად განსხვავდებოდა წინასთან. როგორც წესი, „სატყეო რეფორმის“ არსი და მიმართულება იცვლებოდა მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული და რაც ყველაზე უარესია, საკადრო (სახელმწიფო ბიუროკრატის საშუალო, მაგალითად, სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დონეზეც კი) ცვლილებების შესაბამისად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა რეფორმის დოკუმენტი/სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია ერთი და იგივე ექსპერტების მიერ (მათ შორის, ერთი და იგივე საერთაშორისო ექსპერტების მიერ, წინამდებარე დოკუმენტის ჩათვლით). ამდენად, საჭიროა საზოგადოებამ მიიღოს ოფიციალური ახსნა-განმარტება:

- რა იყო წლების განმავლობაში სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის მიუღებლობის მიზეზი?
- რატომ ცვლიდნენ ეს ექსპერტები თავის რეკომენდაციებს, საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების გზებთან დაკავშირებით, სხვადასხვა მინისტრის დროს?
- რატომ სარგებლობს მთავრობა მუდმივად ერთი და იმავე ექსპერტების მომსახურებით? რომელი წარმატებული რეფორმა/პროექტი განხორციელდა ამ ექსპერტული რჩევების შედეგად? თუ მთავრობა კმაყოფილია მათი მუშაობით, რატომ არ განხორციელდა აქამდე სატყეო სექტორის რეფორმა მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით; ხოლო, თუ არ არის კმაყოფილი, რატომ მიმართავს კვლავ მათ?

5. დასადგენია, უნდა პასუხობდეს, თუ არა სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით დადგენილ ფორმას (დაყოფა თავებად, მუხლებად, პუნქტებად, ქვეპუნქტებად).

II. სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებული კომენტარები

1. დოკუმენტის „შესავალი“ (თავი 1) განსაკუთრებით გაუგებარია. ის უფრო შეესაბამება არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სამინისტროში წინასწარი განხილვისთვის წარდგენილი დოკუმენტის პროექტს და არა სამთავრობო დოკუმენტის/ნორმატიული აქტის პროექტს, რომლითაც უნდა განისაზღვროს ქვეყნის სატყეო პოლიტიკა. დოკუმენტის შესავალიდან გაუგებარია (და დამაბნეველია), რაზეა საუბარი - დასრულებულ სატყეო პოლიტიკაზე, თუ ხდება რაღაც პრინციპებზე ან ხედვაზე შეთანხმება, რომლებსაც მომავალში უნდა დაეფუძნოს საქართველოს სატყეო პოლიტიკა.

აბსოლუტურად გაუგებარია ამ თავის შემდეგი ნაწილი: „სატყეო პოლიტიკა უნდა იყოს მრავლისმომცველი, მასში ასახული უნდა იყოს ავტონომიური რეგიონების პერსპექტივები, მათი სატყეო ადმინისტრაციები და მართვის ორგანოები, ასევე – საზოგადოებასა და პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები“. განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტის დანარჩენ ნაწილში მსგავსი არაფერი გვხვდება. ჩვენი აზრით, არც არის საჭირო, რომ სატყეო პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოყალიბებული იყოს ისეთი სფეციფიური დეტალები, როგორცაა ავტონომიური რეგიონების სატყეო ადმინისტრაციების და მართვის ორგანოების მოწყობის საკითხები. ამდენად, ეს ადგილი საერთოდ ამოსადებია დოკუმენტიდან.

შესავალი ნაწილი საჭიროებს რევიზიას, ასევე საჭიროებს სტილისტურად გამართვას. მასში მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს, თუ რას ემსახურება სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი და აღწეროს მისი სტრუქტურა.

2. ქვეთავი „სატყეო სექტორის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები“ - ძალზე მისასალმებელია, რომ ამ პოლიტიკურ დოკუმენტში არის მცდელობა, გამოყენებულ იქნეს გარემოს დაცვისა და მდგრადი გამოყენების ძალზე თანამედროვე მიდგომა - ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური შეფასება (TEEB) და ასევე, ხაზგასმულია ტყეების ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელობა. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ სულ ახლახანს განახლდა ამ ტიპის შეფასების მომზადების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო (guidelines)². სამწუხაროდ, განსახილველ დოკუმენტში მოყვანილი განმარტებები არაზუსტია. ამის შესახებ, ჩვენ წარვადგინეთ შენიშვნა წინასწარი განხილვის დროს, თუმცა ის არ იქნა გათვალისწინებული და არც გაუთვალისწინებლობის მიზეზი იქნა ახსნილი.

არასწორადაა ნათარგმნი ინგლისურიდან „ecosystem services“, როგორც „ეკოსისტემებისთვის აუცილებელი სერვისების შესრულება“ - უნდა იყოს „ეკოსისტემური სერვისები“.

ამასთან, ეკოსისტემური სერვისები იყოფა ოთხ ჯგუფად: მომამარაგებელი სერვისები (რომელიც დოკუმენტში მოცემული ქვესათაურით „ტყის მერქნული და არამერქნული პროდუქტები და დამატებითი ღირებულების ჯაჭვი“); დამხმარე ანუ ჰაბიტატის სერვისები (რომელიც დოკუმენტში მოცემულია ქვესათაურით „ბიომრავალფეროვნება“); კულტურული სერვისები (რომელიც დოკუმენტში მოცემულია ქვესათაურით „ესთეტიკური, რეკრეაციული და ტურისტული ღირებულება“) და მარეგულირებელი სერვისები (რომელიც დოკუმენტში მოცემულია ქვესათაურით „ეკოსისტემებისთვის აუცილებელი სერვისების შესრულება“). განსახილველ დოკუმენტში კი, ისეა წარმოდგენილი, თითქოს მხოლოდ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ეკოსისტემურ სერვისებს.

ამასთანავე, თითოეული სერვისი და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის არ არის სათანადოდ და

² იხ. <http://www.teebweb.org/>

სწორად დახასიათებული. მაგალითად, საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რამდენი სახეობაა გადაშენების პირას, არამედ იმაში, თუ რამდენი სახეობის, მათ შორის, იშვიათი და ენდემური სახეობის ცხოველმყოფელობას და გენეტიკურ მრავალფეროვნებას უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემები.

ამრიგად, ამ თავის მიზანი სავსებით მისაღები და მისასაღმებელია, მაგრამ შინაარსი მოითხოვს სერიოზულ რედაქტირებას.

3. თავი „საფრთხეები“ არასრულყოფილია როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. გარდა იმ შენიშვნებისა, რომლებიც კომენტარების სახითაა მოცემული, უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ არაფერია ნათქვამი ისეთ საფრთხეებზე, როგორებიცაა: კორუფცია, ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ. საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები გაცილებით უფრო სრულყოფილად არის მიმოხილული საქართველოს მეორე ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის მასალებსა და პროექტში, ასევე ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი გაგზავნილ საქართველოს ეროვნულ ანგარიშებში.

უკეთესი იქნებოდა, რომ „საფრთხეების“ ნაცვლად თავს ეწოდოს „პრობლემები“. ხაზგასმული უნდა იქნეს, რომ საქართველოს ტყეებისათვის მთავარ პრობლემას და მისგან გამომდინარე საფრთხეებს განაპირობებს არასწორი მმართველობა (poor governance), რომლის ნაწილებიცაა დოკუმენტში წარმოდგენილი შემდეგი პუნქტები: დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ტყის ღირებულების არასათანადოდ გათვალისწინება; სუსტი სამართლებრივი ბაზა და კანონების არასათანადო აღსრულება; ცნობიერების დაბალი დონე; არასაკმარისი დაფინანსება და სხვა. გარდა ამისა, არასწორი მმართველობა უნდა მოიცავდეს კიდევ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც. პრობლემებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ დრომდე ქვეყანას არ გააჩნია დამტკიცებული სატყეო პოლიტიკა, სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა და აიხსნას, რა საფრთხეები მოიტანა ამან.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ტყის ძირითად კანონსა და ტყის გამოყენების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები არის მიზეზი იმისა, რომ წესები და პროცედურები ბუნდოვანია და მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ის, თუ რომელი სახელმწიფო უწყებაა პასუხისმგებელი კანონის ამა თუ იმ ასპექტის ადმინისტრირებაზე“. უფრო სწორი იქნებოდა, ითქვას, რომ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ტყის მართვასთან დაკავშირებულ ბევრ ფუნქციაზე საერთოდ არცერთი სახელმწიფო ორგანო არაა პასუხისმგებელი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ: „ტყის ფონდის საზღვრები აღარ არის განსაზღვრული პრაქტიკული კუთხით – საზღვრები შეიცვალა ტყეების დეგრადაციის, განადგურებისა და ტერიტორიის სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებლად დაუგეგმავი გარდაქმნის შედეგად. ტყის მოქმედ კოდექსში განსაზღვრული ტყითსარგებლობის კატეგორიები აღარ არის მისაღები და საჭიროა მათი შეცვლა“. სრულად ვეთანხმებით ამ აზრსაც, მეორე ნაწილს, ძალზე მნიშვნელოვანია ამ საკითხების შეტანა დოკუმენტში. თუმცა, ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ დღესდღეობით სამართლებრივად ტყის საზღვრები დადგენილია და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. სხვა საქმეა, რამდენად ხარისხიანად გაკეთდა ეს.

ქვესათაურში მოხსენიებულია, მაგრამ ტექსტში აღარაა საუბარი კანონის არასათანადო აღსრულებაზე.

დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ტყის ღირებულების არასათანადოდ გათვალისწინების მიზეზად დასახელებულია ცნობიერების დაბალი დონე. თუმცა, უფრო სწორი იქნება, ამ მიზეზზე მეტად, ხაზი გაესვას კონკრეტული პირების პირად ფინანსურ ინტერესებს, რომელთა გამო, მიზანმიმართულად ხდებოდა მდგრადი გამოყენების პრინციპებზე უარის თქმა.

საფრთხეებს შორის სიღარიბის ფაქტორი არ არის სათანადოდ და ობიექტურად განხილული. ისევე როგორც სხვა, მაგალითად, მსოფლიო ბანკის „სატყეო სექტორის განვითარების პროექტის“ ფარგლებში შექმნილ დოკუმენტებში, ტყის დეგრადაცია ბრალდება ღარიბებს და არა მთავრობასა და მეწარმეებს,

რომლებიც, შესაბამისად, მდგრადი განვითარების პრინციპების უგულვებელყოფით, გასცემენ ტყითსარგებლობის ნებართვებს, ან სარგებლობენ ამ ნებართვებით. დარიბი მოსახლეობა უბრალო მუშახელად და დანაშაულებრივი ქმედებების შემსრულებლად იყო გამოყენებული. ჩვენი აზრით, დოკუმენტში უნდა აღინიშნოს, რომ ტყის საუკეთესო ნაწილების გაცემამ გრძელვადიანი ლიცენზიებით კიდევ უფრო გააძლიერა ზეწოლა ტყის ფონდის დანარჩენ ნაწილზე.

ჩვენი აზრით, არ არის მიზანშეწონილი ამ სახელმწიფო დოკუმენტში ტერმინის „ახალი მთავრობა“ გამოყენება.

4. მე-3 თავის (ეროვნული სატყეო პოლიტიკის ხედვა და მიზნები) არსი სავსებით მისაღებია, თუმცა, სტრუქტურული და სტილისტური თვალსაზრისით, მთლიანად გადასაკეთებელია. რთულად წარმოსადგენია, რომ ამგვარად ჩამოყალიბებული სატყეო პოლიტიკის მიზანი გაითავისოს და მხარი დაუჭიროს საქართველოს ფართო საზოგადოებამ: „*მუშაობა ყველასთან ერთად დეგრადირებული ტყიანი ტერიტორიების აღდგენის, არსებული ტყეებისა და სამხრეთ კავკასიის უნიკალური ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს მართვის, დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის საქართველოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით*“. სამინისტრომ უნდა გაიცნობიეროს, რომ ამ თემაზე საუბარი მოუწევს თვითმმართველობების, პარლამენტის, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან, მეტყვევებთან და არა მხოლოდ უცხოელ ექსპერტებთან.

5. ქვეთავში 4.5 (სატყეო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს) გაუგებარია ფრაზა „*გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გააგრძელებს მუშაობას სატყეო პოლიტიკაზე*“. იქნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ იქნება ძირითადი, საბოლოო და კიდევ სხვა დოკუმენტი შემუშავდება.

6. ქვეთავში 5.1 (ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება) აღნიშნულია: „*ინფორმაცია საქართველოს ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ მოძველებულია. ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახსრების უქონლობის გამო, აღარ მიმდინარეობს რეგულარული ინვენტარიზაცია*“. ამ მტკიცებას ვერ დავეთანხმებით. ეს მიზეზი უფრო წინა მთავრობის დოკუმენტებში გვხვდება, რომელმაც, როგორც ცნობილია, მსოფლიო ბანკს დაუბრუნა ტყის ინვენტარიზაციისათვის გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტი; თანხებს კი, ხარჯავდა ისეთ გაუმართლებელ პროექტებში, როგორცაა ანაკლიის აკვაპარკში წყლის ატრაქციონის (უკვე შეძენილის) დამონტაჟება (მთავრობის განკარგულებით გამოყოფილია 8 მილიონი ლარი) და სხვ. ამდენად, ტყის ინვენტარიზაციის ჩატარებლობა უფრო პოლიტიკური ნების არარსებობას და კორუფციულ ინტერესებს უკავშირდება, ვიდრე უსახსრობას და ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტში.

7. 5.2 ქვეთავში წინააღმდეგობრივია ადგილობრივ ტყეებთან დაკავშირებული ორი აზრის და დაზუსტებას საჭიროებს.

8. 5.3.1 ქვეთავში (დეგრადირებული ტყეების აღდგენა) აღნიშნულია, რომ „*ტყის ფონდის დიდი ნაწილი ძლიერ დეგრადირებულია*“. უმჯობესი იქნება - „*ტყის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი ძლიერ დეგრადირებულია*“.

9. 5.3.3 ქვეთავში (სტრატეგიული მიზნები) აღნიშნულია: „*ეროვნულ ეკონომიკაში ხე-ტყის დამზადებისა და გადამამუშავებით მიღებული წილის გაზრდა სხვადასხვა გზით*“. ასეთი ფორმულირება გარკვეული სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. იქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების ეკონომიკური გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ეკოლოგიური დატვირთვის ნორმებისა და ტყის პროდუქტებზე სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. 5.4 ქვეთავში მოყვანილი ქმედებები შესაძლოა შეიცავდეს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი ეროვნული შეტყობინების სამუშაოების დუბლირებას და საჭიროებს გადამოწმებას.

11. გაკვირვებას იწვევს დოკუმენტში (6.1 ქვეთავი - სამართლებრივი ჩარჩო) ტყის ახალი კოდექსის შესახებ კონტექსტი - თითქოს საჭიროა გაგრძელდეს იმ კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მუშავდებოდა. აღნიშნულ კანონპროექტთან დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ სატყეო პოლიტიკის შემუშავების მიმდინარე პროცესი უბრალო ფორმალობა და ფარსია. ამასთანავე, საზოგადოებაში არსებობს კითხვები კანონპროექტთან დაკავშირებით, მათ შორის - რატომ შეუკვეთეს კანონპროექტის შემუშავება შპს „გუთიმე, დამენია, ჩანტლაძე სოლუმენს“. იმედს გამოვთქვამთ, რომ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან ამ საკითხით.

12. ქვეთავში 6.1.1 კვლავ საუბარია „ხედვაზე“ და არა ეროვნულ სატყეო პოლიტიკაზე.

13. გაუგებარია, რას ეხება ქვეთავი 6.3 (ტყის მართვის უწყებები) - მხოლოდ სამეურნეო ტყის ფონდს, თუ სხვა ტყეებსაც.

14. მე-7 თავის (განათლება და მეცნიერება) სტრატეგიულ მიზნებში (7.1 ქვეთავი) გაუგებარია და ახსნას საჭიროებს შემდეგი: „სატყეო ტრენინგცენტრისა და ტყის მართვის სამოდელო ერთეულის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მეტყევეებისა და სატყეო სექტორში დასაქმებული პირების ტრენინგს ველზე“. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ასეთი საქმიანობისათვის სამინისტროში უკვე არსებობს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“. ამდენად, კიდევ ერთი სტრუქტურის შექმნა არ არის მიზანშეწონილი.

15. ხარვეზებს შეიცავს და არასრულყოფილია თავი 8. „საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა“. აქ ძირითად პრობლემად წარმოჩენილია „მდგრადი მართვის პრინციპების არცოდნა“.

დღესდღეობით არ არსებობს ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის გამართული სამართლებრივი მექანიზმები. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ეს მექანიზმები ან გაუმართავია, ან არ ხდება კანონის მოთხოვნების შესრულება. საზოგადოების ჩართვის მექანიზმების უქონლობა არის სატყეო სექტორის არამდგრადი მართვისა და სექტორში გამეფებული კორუფციის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი. ამდენად, აუცილებელია ეს საკითხი ფართოდ იყოს წარმოდგენილი სატყეო პოლიტიკის დოკუმენტში.